ბილეფელდ-ბრაქვედეს სასჯელაღსრულების
დაწესებულება (გერმანია)

სკაიპის საშუალებით ვიდეოზარით სარგებლობის პირობები

ბილეფელდ-ბრაქვედეს სასჯელაღსრულების დაწესებულება პატიმრებს სთავაზობს ვიდეოზარების განხორციელების შესაძლებლობას სკაიპის მეშვეობით. ამისათვის ვიზიტორთა ოთახში სპეციალურად მოწყობილია სტუმრების მაგიდა მონიტორით, ვებკამერით და ყურსასმენით.

ვიდეოზარები ემსახურება კონტაქტების შენარჩუნებას, სტაბილიზაციას და მხარდაჭერას. ის ძირითადად განკუთვნილია ვიზიტორებისთვის, რომლებიც ფიზიკური მანძილის, ჯანმრთელობის თუ ფინანსური მდგომარეობის ან სხვა გასაგები მიზეზების გამო, ვერ ახერხებენ ადგილობრივი დაწესებულების მონახულებას.

ვიდეოზარების განსახორციელებლად აუცილებელია მოწყობილობა, რომელსაც ექნება ინტერნეტთან წვდომა და სკაიპის დაინსტალირებული პროგრამა, ვებკამერა, დინამიკები, მიკროფონი და სკაიპისთვის შექმნილი მომხმარებლის ანგარიში.

ვიდეოზარებზე დაშვება

პატიმრებმა ვიდეოზარებზე დასაშვებად წინასწარ უნდა შეიტანონ განაცხადი. განაცხადის გადამუშავება მოხდება დაწესებულების უსაფრთხოების და მარეგულირებელი საკითხების, ასევე მოთხოვნილი კონტაქტების გათვალისწინებით.

საკონტაქტო პირებმა წერილობით უნდა დაადასტურონ თანხმობა სარგებლობის პირობებთან დაკავშირებით და ხელი მოაწერონ ამის შესახებ თანხმობის დეკლარაციას. პატიმარმა მის მიერ შევსებული და ხელმოწერილი დეკლარაცია უნდა წარადგინოს პირადობის მოწმობის ასლთან ერთად.

16 წლამდე პირებისთვის არც თანხმობის დეკლარაციის და არც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის საჭიროება არ არის.

შეხვედრების დანიშვნა

დაშვებულ პატიმრებს საშუალება აქვთ თვეში ერთხელ ისარგებლონ ვიდეოზარებით.

ვიდეოზარების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი შეთანხმებით. შეხვედრების დანიშვნა ხდება ტელეფონის მეშვეობით ვიზიტების განყოფილების თანამშრომლების მიერ (ტელ .: 0521 / 4896-230). ვიდეოზარებით სარგებლობის ხანგრძლივობა შეადგენს 40 წუთს. მათი განხორციელებისას მაქსიმუმ 3 ადამიანი იქნება დაშვებული. 4 წლამდე ასაკის ბავშვები არ შედიან ამ ჩამონათვალში. დაგეგმილი ვიდეოზარებისთვის ყველა პიროვნებამ თავისი სახელი უნდა განაცხადოს.

განხორციელება

მოცემულ დროს ვიზიტების განყოფილების თანამშრომელი დაუკავშირდება სკაიპს მომხმარებლის ანგარიშით "Bi-Bra2020", რომ შეძლოს თქვენი მომხმარებლის ანგარიშთან კავშირის დამყარება. განყოფილების თანამშრომლების თხოვნაა, რომ თქვენი პირადობის მოწმობა კამერაში გამოაჩინოთ. ვინაობის დადგენის შემდეგ მოხდება პატიმართან დაკავშირება და ვიდეოზარის განხორციელება.

ვიდეოზარის გაკონტროლება მოხდება ოპტიკურად თანამშრომლის მიერ. გაფრთხილების შემდეგ კავშირი შეიძლება შეწყდეს, თუკი თქვენი ან პატიმრის ქცევა საფრთხეს შეუქმნის დაწესებულების უსაფრთხოებას ან განაწესს. გაფრთხილება არ გაიცემა განმეორებით, თუ აუცილებელი გახდება ვიდეოზარის გაწყვეტა. საკონტაქტო პირების უნებართვო შეცვლა იწვევს ვიდეოზარის დაუყოვნებლივ გაუქმებას.

მონაცემთა დაცვა

ვიდეოზარის საშუალებით კავშირის დამყარების დროს ფიქსირდება, როგორც მსჯავრდებულის, ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები. დაწესებულება ამ მონაცემებს არ ინახავს.

მოქმედების არეალი

სკაიპით ვიდეოზარებზე დაშვება და ზემოაღნიშნული სარგებლობის პირობები ვრცელდება მხოლოდ ბილეფელდ-ბრაქვედეს სასჯელაღსრულების დაწესებულებისთვის.